



30-ე განყოფილება  
ოპერაციები უცხოურ  
ვალუტაში

- განმარტებები
- სამუშაო ვალუტის განსაზღვრა
- უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში
- სამუშაო ვალუტისგან განსხვავებული ვალუტის გამოყენება წარსადგენ ვალუტად
- განმარტებითი შენიშვნები
- სრულ ფასს-თან შედარება

- **ფულადი მუხლები** - საწარმოს განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები, მისაღები აქტივები და გასანაღდებელი ვალდებულებები, რომლებიც **გადახდილი ან მიღებული** იქნება ფიქსირებული ან განსაზღვრადი რაოდენობის **ფულის ერთეულებით**.

ფულადი მუხლები	არაფულადი მუხლები
ფულადი სახსრები	გადახდილი აგანსები
სავაჭრო მოთხოვნები	მარაგები
სავაჭრო ვალდებულებები	ძირითადი საშუალებები
სესხები	არამატერიალური აქტივები
საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები	ივნესტიციები წილიბრიგ ინსტრუმენტებში
ანარიცხები (თუ ფულით გადაიხდება)	ანარიცხები (თუ არაფულადი აქტივებით იფარება)
ფულადი დივიდენდები	კაპიტალი

# სამუშაო ვალუტის განსაზღვრა

- საწარმომ უნდა დაადგინოს თავისი სამუშაო ვალუტა - იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას.
- ძირითადი ეკონომიკური გარემო - გარემო სადაც საწარმო გამოიმუშავებს და ხარჯავს ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს.

საწარმო ითვალისწინებს შემდეგ **ფაქტორებს**:

(ა) ვალუტას, რომელიც უმთავრეს გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების გასაყიდ ფასებზე; და

(ბ) ვალუტა, რომელიც უმთავრეს გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მასალების, შრომით და სხვა დანახარჯებზე.

სხვა დამატებითი **ფაქტორები**:

(ა) ვალუტა, რომელშიც საწარმო იღებს ფულად სახსრებს საფინანსო საქმიანობიდან (ე.ი. სესხი, კაპიტალი); და

(ბ) ვალუტა, რომელშიც, ჩვეულებრივ, ხდება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების შენახვა.

**მაგ 1(3).** A საწარმო A ქვეყანაში აწარმოებს პროდუქტს B ქვეყანაში საექსპორტოდ. A ქვეყანაში შედარებით იაფია სამუშაო ძალა და ნედლეული. საწარმოს გასაყიდი ფასები თითქმის ყოველთვის გამოსახულია B ქვეყნის ადგილობრივი ვალუტაში და უპირატესად დგინდება B ქვეყნის კონკურენციით და მარეგულირებელი წესებით. მომხმარებლები ანგარიშსწორებას ახორციელებენ B ქვეყნის ადგილობრივი ვალუტით. საწარმო ფულად სახსრებს ინახავს B ქვეყნის ადგილობრივ ვალუტაში და A ქვეყნის ადგილობრივ ვალუტაში მხოლოდ იმ რაოდენობის ვალუტის კონვერტაციას ახდენს რაც საკმარისია საოპერაციო დანახარჯების დასაფარად. საწარმოს ნასესხები სახსრების დიდი ნაწილი B ქვეყნის ადგილობრივ ვალუტაშია. თუმცა, დანახარჯების დიდი ნაწილის გადახდა A ქვეყნის ადგილობრივი ვალუტით ხდება. სპეციალიზებული დანადგარების შეძენა C ქვეყნის მომწოდებლებისგან ხორციელდება, C ქვეყნის ადგილობრივი ვალუტით. აღნიშნული ხარჯები არ არის არსებითი საოპერაციო დანახარჯებთან შედარებით.

## განსაზღვრეთ A საწარმოს სამუშაო ვალუტა?

B ქვეყნის ადგილობრივი ვალუტა არის საწარმოს სამუშაო ვალუტა.  
B ქვეყნის კონკურენცია და მარეგულირებელი წესები უმთავრეს გავლენას ახდენს საწარმოს პროდუქტების გასაყიდ ფასებზე. საწარმო იღებს ფულად სახსრებს საფინანსო საქმიანობიდან და ფულადი სახსრების დიდ ნაწილს ინახავს B ქვეყნის ადგილობრივ ვალუტაში.

# უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში

68

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაცია - ოპერაცია, რომელიც განსაზღვრულია უცხოურ სავალუტო ერთეულებში ან მოითხოვს ანგარიშსწორებას უცხოური ვალუტით. მაგალითად:

- (ა) უცხოურ ვალუტაში საქონელისა და მომსახურების ყიდვა/გაყიდვა;
- (ბ) უცხოურ ვალუტაში სესხის აღება/გაცემა; ან
- (გ) უცხოურ ვალუტაში აქტივების შეძენა/გაყიდვა და ვალდებულებების აღება/დაფარვა

# უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში

69

**თავდაპირველი აღიარებისას** აისახება სამუშაო ვალუტით ოპერაციის თარიღისათვის სპოტ სავალუტო კურსის გამოყენებით.

**ოპერაციის თარიღი** - თარიღი, როდესაც ეს ოპერაცია პირველად დააკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად.



# უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში

70

მაგ 2(8). საწარმო, რომლის სამუშაო ვალუტაა ფე, უცხოელი მომწოდებლისგან ყიდულობს დანადგარს (ძირითადი საშუალება) 10,000 ფე-ად. დანადგარის თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის სპოტ სავალუტო კურსი შეადგენს  $1\text{უფე} = 2\text{ფე}$ .

როგორ აისახება დანადგარი თავდაპირველი აღიარებისას?

დ)	ძირითადი საშუალებები — დანადგარი	20,000 ფე
კ)	<b>ფულადი სახსრები</b> (10,000 უფე × 2)	<b>20,000 ფე</b>

# უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ:

(ა) უცხოური ვალუტით შეფასებული **ფულადი მუხლები** უნდა გადაიყვანოს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით;

(ბ) **არაფულადი მუხლები**, რომლებიც ასახულია უცხოური ვალუტით **პირვანდელი ღირებულებით**, უნდა გადაიყვანოს ოპერაციის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით; და

(გ) **არაფულადი მუხლები**, რომლებიც ასახულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული **რეალური ღირებულებით**, უნდა გადაიყვანოს რეალური ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

# უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში

72

- **ფულადი მუხლების** საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
- **არაფულადი მუხლებზე** წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში, იმისდა მიხედვით მსს ფასს-ის სხვა განყოფილება როგორ აღიარებს არაფულად მუხლთან დაკავშირებულ შემოსულობას ან ზარალს.

# მაგალითი – უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში

73

**მაგ 3.** კომპანიამ 2017 წლის 20 დეკემბერს განახორციელა 40000 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციის ექსპორტი. ანგარიშსწორება მოხდა 2018 წლის 25 იანვარს.

ვალუტის გაცვლითი კურსი:

თარიღი	კურსი
20.12.2017	1 დოლარი = 2.5 ლარს
31.12.2017	1 დოლარი = 2.7 ლარს
25.01.2018	1 დოლარი = 2.65 ლარს

შეასრულეთ შესაბამისი საბუღალტრო გატარებები.

# მაგალითი – უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში

მაგ 3. (გაგრძელება)

20.12.2017		
დ)	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	100,000
კ)	ამონაგები	100,000
$40,000 * 2.5 = 100,000$		
31.12.2017		
დ)	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8,000
კ)	მოგება საგალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	8,000
$(40,000 * 2.7) - 100,000 = 8,000$ (მოგება)		

# მაგალითი - უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში

75

მაგ 3. (გაგრძელება)

25.01.2018		
დ)	ფულადი სახსრები	106,000
დ)	ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	2,000
კ)	მოთხვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	108,000
	$40000 * 2.65 = 106,000$	

# მაგალითი - უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში

76

**მაგ 4.** კომპანიამ შეიძინა მარაგი უცხოელი მომწოდებლისგან 10,000 დოლარად. ხელშეკრულების პირობების თანახმად მომწოდებელი არ იღებს პასუხისმგებლობას მარაგზე მას შემდეგ რაც მოხდება საწყობიდან მისი გაცემა მყიდველზე. ოპერაციები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:

თარიღი	გარემოება	თანხა
01.02.2017	შეკვეთის გაფორმება	5,000 დოლარი
30.03.2017	საწყობიდან მარაგის წამოღება	3,000 დოლარი
15.04.2017	მარაგის განბაჟება	-
30.05.2017	საბოლოო ანგარიშსწორება	2,000 დოლარი

# მაგალითი – უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში

77

მაგ 4. (გაგრძელება)

თარიღი	კურსი
1.02.2017	1 დოლარი = 2.7 ლარს
30.03.2017	1 დოლარი = 2.4 ლარს
15.04.2017	1 დოლარი = 2.3 ლარს
30.05.2017	1 დოლარი = 2.5 ლარს

შეასრულეთ შესაბამისი საბუღალტრო გატარებები.



# მაგალითი - უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში

78

მაგ 4. (გაგრძელება)

1.02.2017		
დ)	გადახდილი აგანსი	13,500
კ)	ფულადი სახსრები	13,500
	$5,000 * 2.7 = 13,500$ ლარი	
30.03.2017		
დ)	მარაგი	25,500
კ)	ფულადი სახსრები	7,200
კ)	ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე	4,800
კ)	გადახდილი აგანსი	13,500
	$(2,000 * 2.4) + (3,000 * 2.4) + 13,500 = 25,500$ ლარი	

# მაგალითი - უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში

79

მაგ 4. (გაგრძელება)

30.05.2017		
დ)	ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე	4,800
დ)	ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	200
კ)	ფულადი სახსრები	5,000
	$2,000 * 2.5 = 5,000$ ლარი	

# სამუშაო ვალუტისგან განსხვავებული ვალუტის გამოყენება წარსადგენ ვალუტად

წარსადგენი ვალუტა შეიძლება იყოს ნებისმიერი ვალუტა.

განსხვავებულ წარსადგენ ვალუტაში გადასაყვანად:

(ა) აქტივები და ვალდებულებები (შესადარისი მონაცემების ჩათვლით) უნდა გადაიყვანოს საბოლოო სავალუტო კურსით;

(ბ) შემოსავალი და ხარჯები (შესადარისი მონაცემების ჩათვლით) უნდა გადაიყვანოს ოპერაციის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით; და

(გ) საკურსო სხვაობები უნდა აღიარდეს სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში და წარდგენილ იქნეს, როგორც საკუთარი კაპიტალის კომპონენტი. შემდგომში არ შეიძლება ამ თანხების რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში.

უნდა გამჟღავნდეს შემდეგი ინფორმაცია:

- საანგარიშგებო პერიოდში მოგებაში ან ზარალში აღიარებული საკურსო სხვაობების ოდენობა;
- ვალუტა, რომელშიც წარდგენილია ფინანსური ანგარიშგება;
- თუ წარსადგენი ვალუტა განსხვავდება სამუშაო ვალუტისაგან, უნდა გამჟღავნდეს:
  - ✓ ეს ფაქტი
  - ✓ სამუშაო ვალუტა
  - ✓ აიხსნას განსხვავებული წარსადგენი ვალუტის გამოყენების მიზეზები.